“ჯიპიაი ჰოლდინგის” პროდუქტი, ავტოპასუხისმგებლობის დაზღვევა საქართველოს ბანკის მობაილ ბანკში დაემატა

- მობაილ ბანკიდან პოლისის შეძენა მარტივად, 2 წუთში შეგიძლიათ
- მესამე პირის პასუხისმგებლობის დაზღვევის ფასი, თვეში 10 ლარიდან იწყება

27 ივნისი. თბილისი. ჯიპიაი ჰოლდინგის ავტომფლობელის პასუხისმგებლობის დაზღვევა უკვე შეგიძლიათ საქართველოს ბანკის მობაილ ბანკიდან შეიძინოთ. მარტივად, თქვენს ტელეფონში გახსნით საქართველოს ბანკის აპლიკაციას mBank-ს, მოძებნით დაზღვევის ველს და ერთ სივრცეში პროდუქტის შესახებ ყველა ინფორმაციას ნახავთ. იქვე მარტივად, მონიშნავთ შეძენას, აირჩევთ თქვენთვის სასურველ ლიმიტს და სულ ეს არის, ორ წუთში თქვენი ავტომობილი ჯიპიაის მესამე პირის პასუხისმგებლობის პოლისით არის დაზღვეული . რაც ავტომატურად იმას ნიშნავს, რომ თუ თქვენი ბრალეულობით სხვა ადამიანს, მის მანქანას ან ქონებას ზარალი მიადგება, თანხას “ჯიპიაი ჰოლდინგი” დაფარავს.

სანდრო კიკნაძე, „ჯიპიაი ჰოლდინგის“ სტრატეგიული განვითარების დირექტორი :
„საქართველოს ბანკთან თანამშრომლობა დიდი ხანია დავიწყეთ და ეს პროცესი ამ პარტნიორობის გაგრძელებაა. მთავარი მიზანი რა თქმა უნდა დაზღვეულებისა და დაზღვევის შეძენის მსურველებისთვის პროცესების გამარტივებაა. საქართველოს ბანკის მომხმარებელს უკვე შეეძლო მთელს საქართველოში ბანკის ყველა ფილიალში ჯიპიაის პროდუქტების შეძენა , თუმცა ახლა ყველაფერი კიდევ უფრო მარტივია და დაზღვევის შესაძენად ოფისებში მისვლა საჭირო აღარაა, მარტივად გახსნით ბანკის აპლიკაციას, მოძებნით დაზღვევას და რა თქმა უნდა, ჯიპიაის აირჩევთ. მომხმარებელს აპლიკაცია საშუალებას აძლევს რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის პროდუქტი შეადაროს ერთმანეთს და ამ შედარების დროსაც დარწმუნებული ვარ ჯიპიაის უპირატესობებს დაინახავენ და არჩევანს ჩვენზე შეაჩერებენ. ჩვენც, როგორც ევროპული ღირებულებების მქონე და საქართველოში N1 სადაზღვევო კომპანია მათ იმედებს გავამართლებთ და საჭირო დროს მათ გვერდით ვიქნებით. საქართველოს ბანკთან თანამშრომლობა კი გრძელდება და მომხმარებლებს კიდევ ბევრ სიახლეს შევთავაზებთ„

ჯიპიაის მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის პოლისი მაღალი ლიმიტებითა და ხელმისაწვდომი ფასით გამოირჩევა. პოლისი მაშინ იცავს მძღოლს ფინანსური რისკებისგან, როცა მძღოლის ბრალეულობით ზიანდება სხვა პირის ავტომობილი, ჯანმრთელობა ან ქონება. ჯიპიაიში ამ პაკეტით დაზღვეულ პირებს შეუძლიათ ისარგებლონ ავტოდაზღვევის ჯგუფის 24 საათიანი მომსახურებით. შემთხვევის დადგომისთანავე მიმართონ კომპანიას, ფინანსური ზარალის ანაზღაურებაზე კი ჯიპიაი იზრუნებს.

“ჯიპიაი ჰოლდინგის” და საქართველოს ბანკის თანამშრომლობის ფარგლებში უკვე ორი წელია დაზღვევის შეძენა ბანკის ფილიალებში, საქართველოს ყველა რეგიონშია შესაძლებელი. მომხმარებელს საქართველოს ბანკის ნებისმიერ ფილიალში მარტივად შეუძლია შეარჩიოს სასურველი პაკეტი და რამდენიმე წუთში გაიფორმოს ჯიპიაის

ავტოდაზღვევის, მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის, ბინის დაზღვევის ან სამოგზაურო დაზღვევის პოლისი.